## განმარტება გამწვანების მოწყობასთან დაკავშირებით

საპროექტო ნაკვეთის ტერიტორიაზე დარგულია როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი მცენარეები. გამწვანებული ტერიტორიის ფართობი საპროექტო მდგომარეობით დარჩება 924.84 მ$^{2}$. მშენებლობის ამ ეტაპზე არ ვაპირებთ ხეების მოჭრას. არცერთი ხე ხელს არ უშლის ახალი შენობის ჩადგმის სამუშაოებს. მითუმეტეს რომ შენობისთვის მოეწყობა წერტილოვანი საძირკვები მცირე კვეთებით, საპროექტო შენობა ერთსართულიანია.

ამავე დროს, ტერიტორიაზე შესასვლელი ჭიშკრის მარჯვენა მხარეს გაშენებულია ვაზი 22.60 მ$^{2}$-ზე. აღნიშნული ტერიტორიაც დარჩება ხელშეუხებლად იგივე ფართობზე.

გამწვანების კოეფიციენტი კ3=947.44/2568=0.4.

მომავალში, როდესაც გადავწყვიტავთ ზეხმელი ხეების მოჭრას და ახალი ნარგავების დარგვას ვიხელმძღვანელებთ გარემოს დაცვის მითითებებით.

წერილის ნომერი: **18-0121036842**
თარიღი: **05/02/2021**
პინი: **1611**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2021 წლის 28 იანვრის #60-01210282122 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (უფლებამოსილი პირის - შ. აფციაურის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა; საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, განმარტებითი ბარათი), რომლითაც მოქალაქე ნინო ბერიძის განაცხადის (AR1800524) საფუძველზე ითხოვთ ს.ს ,,პროკრედიტ ბანკის" (საიდენტიფიკაციო N204851197) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, გაგრის ქუჩა 2; ს.კ.: 01.11.03.003.029)(ს-1; ნაკვეთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი) II კლასის ობიექტის (საწყობი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

საექსპერტო დასკვნის თანახმად, მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებულია 43 ძირი მცენარე.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო შენობის განთავსების კონტურში არცერთი ძირი მცენარე არ ყვება, ასევე, მშენებლობა არ იგეგმება იმ ნაწილზე, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, **შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს დადებითი რეკომენდაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, ჯანსაღი მცენარეების (გარდა ზეხმელი, ხმობადი, ავარიული, ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) შენარჩუნების პირობით.**

საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან **ტერიტორიაზე 1 ძირი N21-D36.5სმ ვერხვის ხე** არის ზეხმელი, იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ზეხმელი ხის მოსალოდნელი წაქცევით გამოწვეული უარყოფითი შედეგი, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა** გასცეს აღნიშნული ხის მოჭრის ნებართვა, **მას შემდეგ**, როდესაც განმცხადებელი, დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამსახურს **წარმოუდგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება) და მშენებლობის ნებართვას.**

დადგენილების $26^1$-ე მუხლის საფუძველზე, მოჭრილი მწვანე ნარგავის სანაცვლოდ დაინტერესებულ პირს ევალება საკომპენსაციო რგვის განხორციელება, კერძოდ, 1 ძირი, ფოთლოვანი ან/და წიწვოვანი ნერგის დარგვა **იმავე ტერიტორიაზე** (ქალაქ თბილისი, გაგრის ქუჩა 2; ს.კ.: 01.11.03.003.029) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს

არანაკლებ **20 სანტიმეტრი.**

დასარგავი მცენარის სახეობა **(მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა)** უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

**ინფორმაციის სახით მოგახსენებთ**, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

**ასევე, ვერხვის სახეობები** ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი




**ტოპო გეგმა**
**არსებული მწვანე ნარგავებით**
**მ 1:400**

საკადასტრო კოდი: 01.11.03.003.029
მისამართი: ქალაქი თბილისი ,
ქუჩა გაგრა , N 2
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2568.0 კვ.მ
მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი" (204851197)

**საფუძველი**
მ.მ. **შალვა აფციაურის დასკვნა**
**№105, 23.01.2021 წ.**
მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

**პირობითი ნიშნები:**

- ჯანსაღი
- ზეხმელი, ხმობადი, ამორტიზირებული, ბაღატეხილი
- საპროექტო შენობა
- სერვიტუტი
- საპროექტო შენობიდან 3.0 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო შენობიდან 1.5 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

**დენდროკვლევა-2020 წ.**

**მ.მ. შალვა აფციაური**

| | |
|---|---|
| დამკვეთი | სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი" (204851197) |
| შემსრულებელი | მ. აფციაური |

ქს საცხ. შენობა
ქა არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარე შენობა
სატრანსფორ. ჯიხური
ხის ღობე
ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
თბ გაობობა
წ წყალგაყვანილობა
გ ცხი
ქ კანალიზაცია
სან სანიაღვრე
კბ კავშირგაბმულობა
ელ. ქსელები
გარე განათება
სამეთვალყურეო ჭები
პალმა
ვაზი
სურო
ფოთლოვანი ხე
ხილკენკროვანი ნარგავი
წიწვოვანი ხე
ბუჩქი
ბალახი
ძირკვი




მოსაჭრელი და გადასარგავი
მწვანე ნარგავების გეგ-გეგმა
მ 1:400

საკადასტრო კოდი: 01.11.03.003.029
მისამართი: ქალაქი თბილისი ,
ქუჩა გაგრა , N 2
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2568.0 კვ.მ
მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი" (204851197)

საფუძველი
მ.მ. შალვა აფციაურის დასკვნა
№105, 23.01.2021 წ.
მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა
და ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

პირობითი ნიშნები:
— ხელუხლებელი
— მოსაჭრელი
— გადასარგავი
საპროექტო შენობა
სერვიტუტი
საპროექტო შენობიდან 3.0 მეტრით დაცილებული მანძილი
საპროექტო შენობიდან 1.5 მეტრით დაცილებული მანძილი
საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
ნაკვეთების საზღვრები
WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

დენდროკვლევა-2020 წ.

საცხ. შენობა
არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარე შენობა
სატრანსფორ. ჯიხური
ხის ღობე
ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
გათბობა
წყალგაყვანილობა
ხიდი
კანალიზაცია
სანიაღვრე
კავშირგაბმულობა
ელ. ქსელები
გარე განათება
სამეთვალყურეო ჭები
პალმა
ვაზი
სურო
ფოთლოვანი ხე
ხილკენკროვანი ნარგავი
წიწვოვანი ხე
ბუჩქი
ბალახი
ძირკვი

მ.მ. შალვა აფციაური

| | |
|---|---|
| დამკვეთი | სააქციო საზოგადოება "პროკრედიტ ბანკი" (204851197) |
| შემსრულებელი | შ. აფციაური |



ს/კ 01025015751 მის. თბილისი, ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორია, ბ ბლოკი, ელ. ფოსტა: shalvaaptsiauri12@gmail.com ტ. 568 58 44 58

№105 23 იანვარი 2021 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და
ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 22 იანვარს ქალაქი თბილისი, ქუჩა გაგრა, №2 (საკადასტრო კოდი: 01.11.03.003.029) არსებულ ტერიტორიაზე მესაკუთრე სააქციო საზოგადოება „პროკრედიტბანკი“-ს მომართვის საფუძველზე მეტყევე-ინჟინრის მიერ (ექსპერტი სატყეო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა ეს ხე-მცენარეები.

ხის დიამეტრი დადგინდა საზომი ბაფთით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით და “პი“-ზე ანუ 3,14-ზე გაყოფით.

ტერიტორიაზე განლაგებულია 43 ძირი ნარგავი. ამათგან 16 ძირი წიწვოვანია, დანარჩენები ფოთლოვანი. ამ ნარგავებიდან 4 ძირი ვერხვის ხე-მცენარე დაზიანებულია ენტომავნებლით - მინაფრიანათი, რაც იწვევს ფესვის ყელის დაშლას და მცენარის მდგრადობის დასუსტებას. ერთი ძირი ზეხმელი ვერხვის ხეა, ერთი ძირი ჩვეულებრივი ნეკერჩხლის ძირკვია, რომელზეც ამოსულია წვრილი ამონაყარი. ხილ-კენკროვანია 7 ძირი, მათ შორის ერთი ნომრით (№43) 8 ძირი ვაზია და ერთი ნომრით (№25) 55 ძირზე მეტი მაყვლის დიდი ბუჩქია.

დამკვეთი ხილ-კენკროვან მწვანე ნარგავებს გამოიყენებს შეხედულებისამებრ. მოჭრის ზეხმელ და სურვილი აქვს მოჭრას ენტომავნებლით დაზიანებული ვერხვის ხეები. დანარჩენ ნარგავებს ადგილზე ტოვებს.

ცხრილში მოცემულია ქალაქი თბილისი, ქუჩა გაგრა, №2 (საკადასტრო კოდი: 01.11.03.003.029) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური

მდგომარეობა, დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე და შესაბამისი სამეურნეო ღონისძიება:

| № რიგ ზე | მერქნიანი სახეობა | $D_{10}$ დიამეტრი 10 სმ-ზე | შენიშვნა წითელი - ექვემდებარება მოჭრას, ლურჯი - ექვემდებარება გადარგვას, მწვანე - ადგილზე რჩება |
|---|---|---|---|
| 1 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 48,6 | ჯანსაღი |
| 2 | კედარი ჰიმალაის | 38,5 | ჯანსაღი |
| 3 | კედარი ჰიმალაის | 65,2 | ჯანსაღი |
| 4 | კვიპაროზი პირამიდალური | 43,7 | ჯანსაღი |
| 5 | ტუია | 401 | ჯანსაღი |
| 6 | ტუია | 5,8 | ჯანსაღი |
| 7 | ტუია | 6,3 | ჯანსაღი |
| 8 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 53,1 | ჯანსაღი |
| 9 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 57,2 | ჯანსაღი |
| 10 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 53,5 | ჯანსაღი |
| 11 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 41,2 | ჯანსაღი |
| 12 | ნეკერჩხალი ჩვეულებრივი | 24,5 | ჯანსაღი |
| 13 | აკაცია ცრუ | 33,8 | ჯანსაღი |
| 14 | ტუია | 5,0 | ჯანსაღი |
| 15 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 3,5 | ჯანსაღი |
| 16 | ალუბალი | 15,6 | ჯანსაღი, 3 კაპი |
| 17 | ბროწეული | 15,3 | ჯანსაღი, 6 აღერო ამონაყრით |
| 18 | ბზა | 2,6 – 6,1 | ჯანსაღი, 3 ძირი ამონაყრით |
| 19 | ალუბალი | 13,1 | ჯანსაღი |
| 20 | ვერხვი პირამიდალური | 40,5 | ჯანსაღი |
| 21 | ვერხვი პირამიდალური | 36,5 | ზეხმელი |
| 22 | ატამი | 11,0 | ჯანსაღი |
| 23 | ტყემალი | 4,3 – 10,8 | ჯანსაღი, 6 ძირი ამონაყრით |
| 24 | მაყვალი | 0,2 – 0,5 | ჯანსაღი, 55 ძირი |
| 25 | ნეკერჩხალი ამერიკ. | 11,3 | ჯანსაღი |
| 26 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 49,5 | ჯანსაღი |
| 27 | ვერხვი პირამიდალური | 59,7 | ჯანსაღი |
| 28 | ვერხვი პირამიდალური | 30,5 | ჯანსაღი |
| 29 | ვერხვი პირამიდალური | 63,5 | ამორტიზებული, გადაბერებული |
| 30 | ვერხვი პირამიდალური | 57,2 | **დაზიანებული** |
| 31 | ვერხვი პირამიდალური | 44,1 | **დაზიანებული** |
| 32 | ვერხვი პირამიდალური | 44,5 | **დაზიანებული, წვრილი ამონაყრით** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 33 | ვერხვი პირამიდალური | 68,2 | დაზიანებული |
| 34 | ვერხვი პირამიდალური | **55,1** | დაზიანებული |
| 35 | იფანი ჩვეულებრივი | 24,5 | ჯანსაღი |
| 36 | ნეკერჩხალი ჩვ. | 20,0 | ჯანსაღი |
| 37 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 45,2 | ჯანსაღი |
| 38 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 49,6 | ჯანსაღი |
| 39 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 62,8 | ჯანსაღი |
| 40 | ფიჭვი ჩვეულებრივი | 58,3 | ჯანსაღი |
| 41 | ნეკერჩხალი ჩვ. | 28,4 | ძირკვი ამოწაყრით |
| 42 | ჭადარი აღმოსავლეთის | 39,3 | ჯანსაღი, 5 კაპი |
| 43 | ვაზი | 2,1 – 6,5 | ჯანსაღი, 8 ძირი |

შალვა აფციაური

ექსპერტი, სატყეო მეურნეობის ინჟინერ-მეტყევე


4
Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენებ




Samsung Quad Camera

Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ის ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება




Samsung Quad Camera

Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება




Samsung Quad Camera

Galaxy A51-ით ჩვენება


1
Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება


Samsung Quad Camera
Galaxy A51-ით ჩვენება